განკარგულება:**g-31. 31262685**
თარიღი:**25/09/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №56

2026 წლის 25 სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის ბ“ქვეპუნქტის შესაბამისად

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლისთვის ეროვნული გმირის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი